

საჭურისი ალაბიდამ

იყო დიდებული ქალაქსა ალაბისასა და ყვა საჭურისი ერთი. დიდად გულითადი იყო. და ერთი სხვა მონა იყო მის კაცისა, სახითა და ზროთი მსგავსი მის საჭურისისა. დიდად მოყვარენი იყვნენ ორთავე. შეკრეს პირი საჭურისი შეადგა ცოლსა თავის პატრონასას და ეტყოდა

- მე ვიცი, უფალსა ჩემსა ნებავეს განტევება შენი და შერთება სხვისა. თავს ეწიე ცნობასუსტი დიაცი აცთუნა და გამოუცვალა სიყვარული სი- მულვილად. უთხრა ქალმან მან:

- რადგან ჩემი ეგრე კეთილის მდომე ხარ, თუცა ქმარი მიტევებს, მითხარ, რა მიჯობს, რა ვყოფ

- რქვა საჭურისმან:

- მე ესეთი წამალი მოგცე, ფერხთა შესცხო, წამსავე მოკვდეს და ესე მოყვასი ჩემი, შვენიერი და კეთილი კაცი, და იგი შეირთე და იყოს ნებისა შენისა!

სცთა ქალი იგი, მოკლა ქმარი თვისი და იგი კაცი მის წილ შეირთო და ყოველი მონაგვბი მისი მას მისცა.

- ესე არაკი ამისთვის მოგახსენე, ყოველი მსგავსი შენი უარესსა იქმს ამისთვის, რომე არა ეშინის ღვთისა და არცა სცხვენის კაცთა.

უთხრა ვაზირმან ლეონს:

- დია მიხარის სიტყვატკბილობა შენი და მომწონს ზრდილობანი და ქცევანი შენნი. აწ მოვედ, მეფესა ემსახურე და იყო თავი ვაზირთა და უხუცესი ჩემი, და მვფემან ძმურად პატივ გცეს.

რქვა ლეონ სედრაქ ვაზირსა.

- ვითა მამა საყვარელსა შვილსა მასწავლი, ეგრეცა ვყო და შენ მისმინე სიტყვა ესე!

თქვა ლეონ არაკი: